საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 21 0000702045

12/07/2021

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო)სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.3. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2021 წლის 17 მაისს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი №6081/01-03-06 (ცენტრში რეგისტრაციის №452066; №452207) "ბიოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 20 მაისის №468593 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 25 მარტის №484891 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2021 წლის 2, 3 და 4 ივნისს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უსდ-ში, ხოლო 2021 წლის 25 ივნისს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება,		√		

პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

2.3.საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4.ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 28 ივნისს სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ, მიიჩნია, რომ პირველი და მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, უნდა შეფასდეს, როგორც - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-7^1 პუნქტების, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 12 ხმით 0 წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1.დაკმაყოფილდეს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ბიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ბიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 12 ივლისის № 702041 სხდომის ოქმის № 2 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით:

რეკომენდაციები:

- გაიწეროს დეტალური პროგრამის ბიუჯეტი.

რჩევები:

- კურიკულუმის რუკაში დაზუსტდეს, თუ რა სიძლიერით გადის თითოეულ შედეგზ ეთითოეულისაგანი (A, B, C...);
- სასურველია პროგრამის მიღების წინაპირობებში დაკონკრეტდეს ინგლისური ენის დაზასტურების საკითხი;
- პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა სილაბუსებში კარგად იყოს გააზრებული და წარმოდგენილი იყოს პრაქტიკული ხასიათის სილაბუსებში, რათა შესაძლებელი იყოს რეალურად გაიზომოს რამდენად გამოუმუშავდა აღნიშნული უნარები სტუდენტს;
- გაიწეროს დეტალურიი ნსტრუქცია(SOP-ები)თუ როგორ იმუშავებენ მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში, ასევე როგორ და რა მექანიზმებით მოხდება მიკრობული ნარჩენების გაუვნებელყოფა;
- სასურველია პროფესიული უნარების მეტად განვითარება გაუმჯობესდეს სასწავლო კომპონენტში პრაქტიკის გაძლიერების საფუძველზე;
- სასურველია მეტად გაუმჯობესდეს სწავლების მეთოდოლოგიაში ელექტრონული სერვისების მიწოდება.
- გაძლიერდეს სტუდენტების პრაქტიკული ცოდნის და ტრანსფერული ცოდნისგან მავითარებელი უნარების შეფასება, რათა შეფასდეს რამდენად ეფექტურად შეუძლია სტუდენტს მიღებული ცოდნის პრობლემაზე ორიენტირება და მისი გადაჭრა;
- ექსტრაკურიკულური აქტივობების გაუმჯობესება, კარიერული სერვისების მეტი აქტიურობა, სტუდენტთა ინფორმირებულობის გაზრდა;
- გამოიკვეთა დამატებითი ტრენინგების საჭიროების აუცილებლობა, კერძოდ გამოიკვეთა ტექნიკური უნარების დეფიციტი, საბიბლიოთეკო და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურის მოძიების კუთხით;
- სასურველია, კურსებისა და პროგრამის განვითარებისათვის უკუკავშირების მიღება იყოს რეგულარულიხასიათის.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 28 ივნისს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ნაცვლიშვილი ეკატერინე